საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/119

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი, 2020 წ.

,,2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №01-02/107 ბრძანებაში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, მერაბ დიასამიძის მოხსენებითი ბარათის (MES 6 20 0000839081, 15.09.2020) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **,,2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ''** ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №01-02/107 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები და დამატება, კერძოდ:

ა) 1.1. **პუნქტი (პირველი აბზაცი) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ) ჩარიცხვის უფლების მქონე **აბიტურიენტთა ბსუ-ში რეგისტრაცია** (ხელშეკრულების გაფორმება და პირადი საქმის გახსნა)

განხორციელდეს 2020 წლის 07 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით (კვირის გარდა) პერიოდში, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, შემდეგი განრიგით:";

ბ) 1.1. პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) **2020 წლის 15-18 სექტემბერი - ბსუ-ს საგანმანათლებლო** პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული იმ პირებისათვის, რომლებიც ვერ შეძლებენ რეგისტრაციის გავლას ამ პუნქტის „ა-ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ ვადებში.

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებს (აბიტურიენტებს), რომლებიც გართულებული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე 2020 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში იმყოფებიან საკარანტინო სივრცეში ან თვითიზოლაციაში, მიეცეთ უფლება ელექტრონული ფორმით არაუგვიანეს 2020 წლის 18 სექტემბრისა წარმოადგინონ ბსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე - info@bsu.edu.ge რეგისტრაციასთან დაკავშირებით განცხადება (განცხადების ნიმუში - წინამდებარე ბრძანების **დანართი N1**) და თან დაურთონ მოთხოვნილი დოკუმენტაციის ასლები, ხოლო ამ დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარმოდგენა უზრუნველყონ **არაუგვიანეს 2020 წლის 28 სექტემბრისა,** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით და გამოცხადდნენ ხელშეკრულების გასაფორმებლად (ხელმოსაწერად) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში.";

გ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი N1;

დ) 1.6. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.6. 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2020 წლის 29 სექტემბრისა, აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.";

ე) 1.6. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.7. პუნქტი:

„1.7. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისს დაევალოს წინამდებარე ბრძანების 1.1. პუნქტის „თ' ქვეპუნქტის შესაბამისად აბიტურიენტთა მიერ რეგისტრაციის დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარმოდგენის შემთხვევაში არაუგვიანეს 2020 წლის 28 სექტემბრისა სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა და შესაბამისი

ინფორმაციის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისათვის მიწოდება.“.

2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ სირაძემ.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 სექტემბრის
N 01-02/119 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

განმცხადებელი ----------
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოვიპოვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე ვიმყოფები საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში, რის გამოც ვერ ვახერხებ დადგენილ ვადაში რეგისტრაციისათვის ბსუ-ს შენობაში გამოცხადებას და მოთხოვნილი დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარმოდგენას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე განცხადებისა და თანდართული ყველა საჭირო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, დამარეგისტრიროთ, ხოლო მატერიალური სახით დოკუმენტაციას **წარმოვადგენ არაუგვიანეს 2020 წლის 28 სექტემბრისა,** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით და გამოვცხადდები შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში, ხელშეკრულების გასაფორმებლად.